

# დღეობა

„აყვადი, ტურთა ქვეყანა,  
 იღბინე, ქართველთ მხარეთ,  
 და შენც, ქართველო, სწავლითა  
 სამშობლო გაახარეთ.“  
 შ. რუსთაველი  
 ზნელოცვისა



მ . 1 9 4 8 . 3

„აყვავილი, ტურფა ქვეყანაზე,  
იხინე, ქართველთ მხარეზე  
და შენც, ქართველო, სწავლითა  
სამშობლო გაახარეო.“



## ს ი ხ ა რ უ ლ ი

მთაგორებზე ამოსული  
მზე ბრწყინვალედ ცდიდა  
მთელი ქვეყნის ღიმილივით  
ღაუბატა დიდა.


ტოტებს შიდან ხეხილები,  
თითქოს გული უცემთ,—  
ტანის რხევით აშრიადენენ,  
აყვავილდენენ უცებ!

როგორ მვენით გულმკრედ ჩიტებს  
ფრთების გაშლა ცაში! —  
ნაკადულის გადმოხტომას —  
ტყის ფოთლების ტაში...

მეც აქა ვარ, მეც, მახარებს  
გაზაფხულის ხიდეა,—  
სიხარულის ცრემლებივით  
მშით ცვარ-ნამის ბრწყინეა!

ქარლ ქალამი  
ნახატო ი ლიფნოგორცევისი

4807



ՀԱՅԿԵՆԻ  
ՅՈՒՐԹՈՒՅՑՑ

# დიდი მეგობრობა

28 მარტს შეხრულდა 80 წელი დიდი რუსი მწერლის ალექსი მაქსიმეს ძე გორკის დაბადებიდან. ქვემოთ ვათავსებთ ს. მარშაის წერილის ნაწყვეტს.

ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ბავშვების ნამდვილი მეგობარი იყო.

ნაცნობ ბავშვებისადმი მიწერილ წერილში იგი უამბობს, თუ როგორ უხედებოდა მას თავისი პატარა ძამიკოს მოვლა, როდესაც თვითონაც მხოლოდ ათი წლის იყო. შემდეგ ხანებში კმაწვილი გორკი თავს უპირიდად თავისი უბნის ბავშვებს და მათთან ერთად მთელი დღით ტყეში მიდიოდა. ასეთი სეირნობის დროს იგი ხშირად ყველაზე პატარებს მხრებით ატარებდა თავისი ხელით გაკეთებული საჯარძლით.

როდესაც ალექსი მაქსიმეს-ძე დიდი კაცი, ცნობილი მწერალი გახდა, მან ბევრი ბავშვი მოაწყო სკოლაში და ზრუნავდა, რომ მათ წიგნი ჰქონოდათ. მან გადასწყვიტა ალბომების ბიბლიოთეკა მოეწყო სოფლის იმ სკოლებისათვის, სადაც ტურნალები და ლამაზი ნახატებიანი წიგნები ვერ აღწევდნენ.

ასეთ ალბომებს ალექსი მაქსიმეს-ძე ნაცნობ მასწავლებლების ხელით პეზავინდა სოფლის სკოლებში.

ეს იყო ნახევარი საუკუნის წინ. რევოლუციის შემდეგ გორკის მიეცა საშუალება დახმარება გაეწია არა მარტო ცალკეული სკოლებისათვის, არამედ ეზრუნა მთელი ქვეყნის მასწავლებლებისათვის.

როდესაც ჩვენი მთავრობის მიერ იქნა გადაწყვეტილი ჩამოყალიბე-

ბულიყო ბავშვთათვის წიგნის ვა-  
მოშენება – საბლიტგამი, გორკი შეკითხვით მიმართა საბჭოთა კავშირის ყველა ბავშვს: რომელი წიგნის წყაითხვა უნდა მათ და რა აინტერესებთ ყველაზე მეტად.

მან ბავშვებისაგან ათასობით პასუხი მიიღო. ბევრ მათგანთან შემდეგაც განაგრძობდა მიწერა-მოწერას.

ალექსი მაქსიმეს-ძემ იცოდა ბავშვებთან მეგობრობა. ის სერიოზულად და ამავე დროს მზიარულად ებაახებოდა მათ. თუ კი მათთან თამაშს წამოიწყებდა ეს უკვე იყო ნამდვილი თავგამოდებული, გატაცებული თამაში.

ასევე ექცეოდა იგი თავის შვილებს მაქსიმესა და კატუშას, როდესაც ისინი დაბლობანას თამაშობდნენ. მაქსიმეს ენმარებოდა რომ ყველაზე მაღალ განჯინაზე ასულიყო. ცდილობდა მაქსიმე გულადი და მობრზებული გამხდარიყო.

ბავშვებისადმი გორკის მიერ მიწერილ თვითნულ სტრიქონში იგრძნობა როგორ სათუთად და მომთხონებლად ეპყრობოდა იგი მათ, რა ბევრს მოელოდა მათგან.

როგორც კარგი მებაღე უსუსურ სუსტ აღმონაცენში ზედაეს ძალოვან ხეს, ისე ალექსი მაქსიმეს-ძე ხედავდა პატარა ბავშვში მომავალ დასრულებულ ადამიანს, გულად მეომარს, შემოქმედ ოსტატს, ახალი ცხოვრების მშენებელს.



ღ ე ღ ა

დედის კალთაზე, მის ნათელ  
 ღიმინღზე კარგი რა არი.  
 გული დედისა შვილისთვის  
 აღერსის დიდი ზღუა არი.  
 დედა ბედნიერების,  
 სიკეთის გამომსახველი,  
 მიტომ უწოდეს სამშობლოს  
 დედა-სამშობლოს სახელი.  
 შევხარით დედა-ქალაქის  
 ყოველ ქუჩას თუ სართულსა,  
 და დედა-ენას ვუწოდებთ  
 ჩვენს ტკბილ, მშობლიურ ქართულსა.  
 რაც სიხარულის, იმედის,

სინმინდის სახელს ატარებს,  
 დედასთან დავაკავშირეთ,  
 ჩვენს ძვირფას დედას ვადარეთ.  
 პირველად დედა ვახსენეთ,  
 მის მკერდზე ვინწყეთ თამაში,  
 გადავიფურჩქნეთ, გავდაღლით  
 დედის ტკბილ ივენანაში.  
 ისეთი კარგი ვიქნები, —  
 დედიკო, გაძლე პირობას, —  
 რომ მუდამ გულს გიხარებდეს  
 შენი გაზრდილის შვილობა.

იოსებ ნონაშვილი

ნახატი ა. გიგოლაშვილისა



## თიკოს სიხარული

გაკვეთილების შემდეგ ბავშვებს თავი წყლის პირას მოეყარათ და ქრიაბული გააჰქონდათ.

— მაშ ზეგ მივდივართ გორში, ბელადის სახლის სანახავად?! როგორ მიხარია! — წამოიყვირა თანდომ, ტაში შემოპკრა, დიდი ლოდინდან ისკუბა და სიხარულით ლეკური ჩამოუარა.

— მივდივართ კი არა, — წამოიძახა ილამ, — ჩენი კოლმეურნეობის ახალი მანქანით პირდაპირ გავფრინდებით. ჩიკი, როგორ მიჰქრის?! —

— ჩვენ გვიხარია სტალინის აკვანს რომ ენახავთ. მაგიდასაც ენახავთ, რომელზედაც დიდი სტალინი გაკვეთილებს სწავლობდა. — სხაპასუხობთ ვაწყვეტინა ეთერმა.

— მე, ეთერ, მეც ხომ წამოყვან? მეც უნდა ენახო ძია სტალინის სახლი. — სთქვა სული წლის თიკომ და თავის უფროს დას კალთაზე აეკრა.

— შენ პატარა ხარ, მარტო ჩენი სკოლის მოწაფეები მივდივართ.

ასეთი პასუხი ძლიერ ეწყინა თიკოს. ცრემლმორცული შინისაკენ წამოვიდა და ბუზღუნნი მორთო:

— რატომ არ ვეცოდები მასწავლებელს!.. სკოლაში არ მიმიღო, პატარა ხარო. საიდან ვარ პატარა, დედა ეზოს მაგვევინებს, ჯამ-ჭურჭელსაც ვრეცხავ როცა ეთერს არ სცალიან. ლექსებიც ვიცი.

— ერიპა... შეიღო, ვინ გაწყენინა, გენაცვალოს პაპა? — ორღობიდან შემოესმა თიკოს პაპას ხმა.

პაპა კოლმეურნეობის მეურნე იყო. მხარზე უღელი ვაგდო და სახლისაკენ მოეშურებოდა. მტრიალი გოგონა პაპამ ხელში აიყვანა, დაუყვავა და როცა მისი ტირილის მიზეზი გაიგო, ტბილად უთხრა:

— მაგაზე რა გატირებს! ამა გათენდეს! რად გინდა მაგათი მანქანა. ჩემს კოხტა ურემში შევებაშ ლომა კამეჩებს და ჰერი ბიჭო! გორში კი არა, თუ გინდ თბილისში ჩაგყვან.

თიკომ დაიჯერა, ცრემლიანი თვალები



პაპს მიაპყრო და კისერზე მავრად მოეხეა.

მეორე დილით თიკომ ეხოში ვერც პაპა ნახა და ვერც ურემი. — ვაიმე, პაპამაც მომატყუაო, — ატირდა ბავშვი და ორლომბისათვის თვალი აღარ მოუშორებია.

მალე პაპამ ლასტებით გაწყობილი ურეში ეხოში შემოაქრიალა, თიკო უკვე მზად იყო. უფროსი დის, ეთერის, კაბით გამოწყობილმა გოგონამ სათონიდან მოუარა, თავისი თმგაჩეჩილი დედოფალა და ფარდაგის ნაგლეჯი კამჩებგამოშვებულ ურემზე აიტანა, ლასტებს ამოეფარა და ჩუმად ჩაიღუდუნა:

— ახლაც გამეპარება? აქ ვიქნები და აბა ნუ წამიყვანს, — ზის სულგანაბული თიკო და თავის დედოფალას შესჩივის:

— სულ პატარა უნდა ვიყო? ახლა ხომ გრძელი კაბა ჩავიცვი, და აბა ნუ წამიყვანენ. — თიკომ ბევრი იბუტბუტა. ბოლოს, ჯდომით მოღლილმა გოგონამ ფარდაგის ნაგლეჯი ვაიშალა, ზედ წამოგორდა, გულში დედოფალა ჩაიხუტა და სულ კოტა ხნის შემდეგ ოცნებით გატაცებულს ტკბილად ჩაეძინა.

სადილობის დრო მოვიდა. დედამ თიკოს ვასძახა, მაგრამ თიკო არსად ჩანდა. აქეთ ეძებს, იქით, მუზობლღებშიაც, მაგრამ ვერსად მიაგნეს. დიდსაგონებელში ჩაგარდნენ, ბოსელი, საბძელი, სათონე გაუჩხრეკავი არ გადაურჩათ. ბოლოს დაღასტულ ურემშიაც ჩაიხედეს და მძინარე გოგონა რომ ნახეს, ერთი განგაში ასტებეს:

— უყურეთ, რა მოუფიქრებდა ჩემი შვილი! ყვანთ გორში, ცოდვაა ბავშვი; შეწინდებული პარაკობდნენ ურემთან თავმოყრილი დედა, ეთერი, მუზობლები და კდეც გადასწყვიტეს, რომ ბავშვი უსათუოდ გორში წაეყვანათ.

მეორე დღეს დედამ თიკო მასწავლებელთან მიიყვანა და მას ყველაფერი უამბო. მასწავლებელმა ბავშვს თავზე აღერსით ხელი გადაუსვა და წასასვლელად გამზადებულ მოწაფეების ჯგუფში შეურია. ნახევარი საათის შემდეგ თიკოსკოლის ბავშვებთან ერთად გორისაკენ მიემგზავრებოდა.

ვინ აღწერს იმ სიხარულს, რაც თიკომ გორში განიცადა? პატარა ლამაზი სახლი, ბელადის აკვანი, ტახტი, მაგიდა, ყველაფერს გაოცებით შესცქეროდა პატარა თიკო და კითხვას-კითხვაზე იძლეოდა. მის აღტაცებას ზედ კდეც ის დაერთო, რომ გორიდან დაბრუნებულ გოგონას მასწავლებელმა სტალინის სურათი აჩუქა.

თიკომ სურათი დედას საუცეთესო ადგილზე ჩამოაკიდინა. ისე უხაროდა, რომ თავის პატარა, ათი თვის დას წარამარა სურათთან მიიყვანდა და ეუბნებოდა: — აირუსიკო, ძია სტალინი. უყურე, უყურე, არ იტირო, თორემ ძია სტალინის მტირალები არ უყვარსო.

**ანა ხახუშავილი (ყვივი)**  
ნახატი გ. გულბინაშვილისა

# ს ი ნ ა თ ლ ე



ბუ, ჭოტი და ღამურა ღამის ფრინველები არიან. დღისით ისინი ვერაფერს შედავენ, სხედან ფულურობაში, გამოქვაბულებში და დაღამებას უცდიან.

ღამინდღება თუ არა, გამოძვრებიან, მთელი ღამე დაფრინავენ, სასრდოს ეძებენ.

სრამის ღამასი სეობა იმათ ძალიან უკვარდათ. მისი ტუქები და ველ-კორდები უხვად უმასწინმდებობდნენ.

როცა მდინარე სრამზე ელექტროსადგურის მშენებლობა დაწყეს, მუშებმა ისე აახმიანეს იქაურობა, რომ ცასა და დედაძინას სანსარი გააქონდა.

ტაქვადათ უსები, გვირბები; ანგრევენ კლდეებს, ამუხებდნენ სიღებს. დედაძინის გულში რკინაბეტონს ახსამდნენ და მდინარე სრამის შესაბოჭად ააჭყებს ჭკიდებდნენ.

ფრინველები შემოვით გაიმასოდნენ: — რა ამბავია, მოსვენებას აღარ გვაძლევს, თავისუფლად გალობა და ნავარდი აღარ შეიძლებაო. განსაკუთრებით ბუები, ჭოტები და ღამურები ბუსლუნებდნენ მოკვამურს თავი, ღამურ კი აღარ ისვენებენ, რამდენი ფულურო და გამოქვაბული დაკვირდნენო.

გავიდა ხანი. მუშებმა მდინარე დატუქვეს, მხედ გადააქციეს და ელექტრომუქის გარსკვლავები აანთეს. მუწედა კლდეების სკრევა და ლოდების ხმაური.

განსრებული ბუები, ჭოტები და ღამურები ამობოდნენ: — ესლა კი დაწყნარდა ჩვენი ღამასი სეობა. ისევ მშვიდი ღამეები დაგვიბრუნდება და ბუელებურად ვიცხოვრებთო. ისხდნენ ფულურობაში, ისხდნენ და უცდიდნენ ღამეს, მაგრამ ღამე აღარ მოდიოდა.

მიდამოს შექი უფრო მოემატა. სინათლე ჯურღმულებშიც შეიჭრა.

ჭოტის სადგომ ფულუროში ჯოჯო შეცოცდა. ჭოტმა ვერაფერი დანახა, მაგრამ ფხის ხმაზე იკით-





ხა:—ვინა ხარ, გაბაკებინე, რა მოხდა რომ ღამე ამდენ ხანს იკვიანებს? ვსივარ და ველოდები, სინათლეში ვერაფერს ვხედავ, თანაც შიშშიღმა შემაწუხა.

— მე ჯოჯო ვარ, — ქვეშრომი, არაფერი გამეგება, საიდან უნდა ვიცოდე რა მოხდა! — უნასუნსა მოსულმა.

იქვე ხის ტოტზე ჩხიკვი იჯდა, მხნავანა ჩხიკვი. ჭოტმა და ჯოჯომ საუბარი რომ დაამთავრეს, მან ერთი გულიანად გადინარხარა; მხარი მხარს შემოჰკრა და ციდან ფრინველებს გადასძახა: — ჰეი, ფროთსნებო, დღისა და შუქის მკონხებო! იცით, რა მოხდა? მუშებმა მდინარე სრამი მზედ გადააქციეს, ელექტრომუქის კარსკელავეები ხანთეს; ბუებს, ჭოტებსა და ღამურებს ღამე დაეკარგათ. თვალებს ვეღარ ახელებ. სხედან გამოქვაბულში, ფულუროებში და იცრემლებიან!

როსომა ქლანიძე

ნახარი ხოსო გაბაშვილისა



## პატარა ზანგის სიმღერა

ზანგის ბავშვები საზღვარგარეთ მეთად უმწეო მღვთ-მარეობაში არიან.


(ვაზეთებიდან)

მთვარე ანათებს ცაზე,  
ვარსკვლავს უცინის პირი,—  
მე არაფერი მატკობს,  
მწუხარებისგან ვტირი!

მთვარე, რომ იყოს დედა,  
ან ვარსკვლავები—ძმები,  
მათ შეერივებელი ვარაშს,  
რომ ასე ობღად ვვდები!

მხეცს ბუნაგი აქვს თვისი,  
ჩიტს — საკუთარი ბინა,  
მე კი მარტო ვარ ქვეყნად,—  
ვინ შემობრალებს, ვინა?

ი. ზირიძე



პეპი-გაბაძე

გ ა ზ ა

იეს სსხსხრდლი ახვისთვის იქ-  
ნება გავხვებული, ჩოგორკ მონ-  
თვის არს. მთა აველახელ მერტლ  
დნაერტული წაბორისაგან. მთა ამ  
დროს მკვერტოთის სვეებს. მის  
გვერტებზე აღავაღავა სსსს დარ-  
სნული თოვლები. მთას უბღებს  
კლდებში ტყე, მობინდებულ-მბო-  
ჭებულ.

იკლი ზომ აღარ უღალიტებს; ეს  
ტყის ვარდი მარც ვარშლებს გორ-  
გორის პირებზე; თუ ტყეს მოსცეს,  
ფერტი ზომ აღარ მოსცდება. იეს  
ჩოგორის მოსცდება შუბლი, რომ  
უთოვლად აღარ გამოიკვიტოს გელ-  
მა პირბოლიდან.

სწორედ შენამდე მოვიდა ესლა  
წყობა, აქაიქ დაჩქნული მტარა-მა



მ ხ უ რ ი

საბავა ხ. მინაშვილი

ტარა თოვლები დაღაბერა, გააქოი,  
გაქარწულა; მთის კალთებში ნაქცე-  
სრს აღარხად სსხსთა თოვლი, მთი-  
ლოდ მთას კვედებში და დასლა ხე-  
ში ემნა შელოხანე ზეყენა.

მადლა თადი გავკვეთისა კან-  
დლისა ზედ რომ შეღვე- გავსუვები;  
პირიდან სსხრდული, ზეღვული, გზა-  
ლი შემოგებნის...-ის წყალია, ზე-

უბსარზე მოდის... წყობამ ტყეში  
დატანებულს ვედებს გორ-გორს  
სსხპირალი კვეტი წაბობსანა ვე-  
ვოლებს; თავებს ამობინებს მ-წილამ.  
სიანმა ბაღამა კობტად ამოვი  
თავი ამობინდა, გავსონა წყობს.  
თავი დაყენა აჩე-მარცხ.


ხეებზე კოკორა განსმდელად  
მომხადებულა. ფრანველნი დიდ  
მზარდლებში იუფენი ამბოდა ფრ-  
ალი, სტყენა, ცვილ-ხეივლი; აველ-  
ანი დიდ მხადებში იუფენი. გველეო  
მზარდლობდა მოცხურბობილამ მის  
მწვილობით დაბრუნებს. კოდლა  
ანგრევედა იქუბრობას წიბობა შე-  
ბობდა წყობს...-დაწეობ, დაწეობ!

(ქედის ხეივან-დან)



საბავა ხ. მინაშვილი.





## მ ა უ ლ ი

ლადოს მამა მაულის ფაბრიკაში მუშაობს. ერთხელ მამამ მაულის პალტო მოუტანა ლადოს. ლადოს ძალიან მოეწონა პალტო, ამხანაგებს ვაჭვენებო თქვა და გარეთ გაიქცა. შინ რომ დაბრუნდა პალტო გახეული ჰქონდა.

— როგორ არ გრცხენია? — უთხრა მამამ ლადოს, — დღეს ჩაიცვი და დღესვე გახიე?

— დედა დააკერებს, — უდარდელიად უპასუხა ბავშვმა.

— შენ ახლა პატარა არა ხარ, უცვე სკოლაში დადიხარ, — აუხსნა მამამ, — უნდა იცოდე ნაშრომის პატივისცემა. იცი რამდენი შრომაა საჭირო ამ მაულისთვის?

— რა შრომა? შეხვალ მაღაზიაში და იყიდი, — გაიცინა ლადომ...

მეორე დღეს მამამ ლადო მაულის ფაბრიკაში წაიყვანა და დაათვალიერებინა.

— ფაბრიკა რამდენიმე განყოფილება-საგან შესდგება, — დაიწყო მამამ. — ამ განყოფილებებს საამქროები ჰქვია. მაულის

მოსაქოვად ყველა საამქრო მუშაობს. დაუკირდი როგორ ამზადებენ მაულს!..

ლადო დააკირდა.

ერთგან მატყლი გორა-გორად იდგა და მუშა-ქალები ახარისხებდნენ. ჰაერში მტვერი იდგა. მეორე იდგილას მატყლს რეცხავდნენ, წურავდნენ და ამრობდნენ. ლადოს ის გაუკვირდა, რომ მზეზე როდი გაქონდათ ვასაშრობად გარეცხილი მატყლი. ერთ განყოფილებაში აამუშავეს ვენტილატორი, ოთახი გაავსო ცხელია ჰაერმა და ის ცხელი ჰაერი ამრობდა მატყლს.

— აქ გამშრალ მატყლს ერთხელ კიდევ გაწმენდენ, — უთხრა მამამ ლადოს. — ხოლო გაწმენდილს ერთმანეთში აურკვეენ, გაზეთავენ, რომ მატყლი რბილი გახდეს. წაიღეთ, ენახოთ.

ახლო განყოფილებაში ლადომ ნახა, რომ მატყლის ნაწილი შეღებეს, შეუღებავში გაურჩეს და გაზეთეს. გაზეთილი მატყლი სამანქანო-საამქროში წაიღეს.

— ხედავ ამ მანქანებს? — უთხრა მამამ



ლადოს. — როგორ გაწეწეს, გაჩენეს და დაართეს მატყლი?

— ძაფი! ძაფი გამოვიდა, მამი! — წამოიძახა ლადომ.

— მამ! — გაიღიმა მამამ. — მატყლი, ძაფად იქცა. ახლა ამ ძაფს დაქსელავენ და პოქსოვენ.

— მაჩვენე! მაჩვენე! — და ლადომ სახელოში ხელი ჩაავლო მამას. უნდოდა ენახა, როგორ იქსოვება ძაფისაგან მათუდი.

საქსოვ განყოფილებაში სავარცხლიანი დგიმები იდგა. დგიმები ერთიმეორეზე მოყოლებით იდგა ისე, როგორც მერხები სკოლაში, ოღონდ ერთმანეთისაგან უფრო დაშორებით. დგიმებთან მუშა-ქალები იდგნენ და ვაფაციცებით მუშაობდნენ, რომ კარგი ქსოვილი გამოსულიყო. ლადომ შეინიშნა, რომ ერთი კაცი მანქანიდან მანქანასთან მიდიოდა, აკვირდებოდა, ქსოვილს სინჯავდა. ლადო მაშინვე მიხვდა, რომ ეს კაცი ქსოვილის ხარისხის შეთვალეურე იყო.

— უყურე! აქაც ყოფილა მასწავლებელი, — გაიფიქრა ლადომ. — ჩვენ რომ სუფთა წერის გაცვეთილი გვაქვს, მასწავლებელი მერხიდან მერხთან მიდის, გვაკირდება და გვისწორებს, კარგად დასწერეთო. აქაც ასეა...

— ამის შემდეგ მოქსოვილ მათუდს გარეცხავენ, მოთელავენ და შედგებენ. — სთქვა მამამ.

ლადომ ესეც ნახა და გაიგო, რომ მათუდს სიმტკიცისა და სიმაგრისათვის თელავენ.

— შენ გგონია, ამით გათავდა მათუდის ამბავი? — ჰკითხა მამამ. — ამის შემდეგ ბეწვებს აშოპყრიან, რომ ზედაპირი დარბილდეს, გააშრობენ და გაპარსავენ.

— გაპარსავენ? — გაუკვირდა ლადოს.

ლადო გაფართოებული თვალებით უყურებდა, თუ როგორ პარსავდნენ ქსო-

ვილს, რომ მათუდს რბილი, თანაბრე, მათუდი პირი ჰქონოდა.

— გათავდა? — იკითხა ლადომ და ხმაში წყენა დაეტყო. ის ძალზე გაიტაცა მათუდის ამბავმა.

— დარჩა კიდევ ერთი განყოფილება, სადაც მათუდს აუთოებენ და ნაქერ-ნაქერ კეცავენ საწყობში გასავზავნად, — უბასუხა მამამ.

— უჰ, რამდენი მათუდია! — წამოიძახა ლადომ, როცა დაუთოებულები და კობტად დაკეცილი მათუდი ნახა.

ლადო მივიდა ერთ-ერთ ნაქერთან, ხელი გადაუსვა, შემდეგ თავისი პალტოს კალთა ასწია და ნაქერს შეადარა:

— შეხე, მამი! ჩემი პალტო ამისი ძმა ყოფილა!


მამას გაეცინა, ბავშვს არა უბასუხა არა, მხოლოდ იქვე მდგომ ამხანაგს მიუბრუნდა და ლადოს გასაგონად უთხრა:

— თურმე რამდენი შრომაა საჭირო, რომ მტკრიანი მატყლისაგან ასეთი სუფთა და ლამაზი მათუდი მივიღოთ!..

ლადო ჩაფიქრდა.

ამის შემდეგ იგი ძალიან უფრთხილდებოდა ტანისამოსს. მან იცოდა, რომ ტანსაცმელის დასამზადებლად დიდი შრომა არის საჭირო.

როლიონ ქორქმა ნახატები შალვა ცხადაძისა



# ხიდთა ქება<sup>\*)</sup>

თხილმა თქვა: „ჩემი სიუხვე  
ჰკვიანმა ხალხმა ვაიგო,  
ჩემი პაწაწა ნაყოფი,  
ცხრა ძმამ საჭმელად ვაიყო!“

ნუშის ხეს ესალმებოდნენ  
ღამაზი ბროწეულები,  
ბაგეს ხლეჩავდნენ, უჩანდათ  
კბილები ძოწეულების.

„შენ თოვლისფერად ჰყვავდები,  
ჩვენ გვამკობს იაგუნდები.  
ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდეს,  
ერთმანეთს ნუ შევიძულდებით!“

კამათში გამორჩიენ  
კვრინჩხი,

ზღმარტლი  
და პანტაცია;

მსხალმა იწყინა, შესძახა:

„გაჩუმდით, თქვენსა გაზრდასა!  
სადაც გინდათ და არ გინდათ,  
თქვენც ცხვირი უნდა გახიროთ —

სწორედ თქვენზეა ნათქვამი:  
აბა, ჩვენც ნახირ-ნახირო!  
შორცხვი ვარ, შიტომ გავჩუმდი,  
ავსებულნი ვარ თაფლითა,  
ასე რამ გავგულისათ,  
რას შემომკნავეთ დაბლიდან?“

თუთამ დახარა თვალები,  
სთქვა: „მეც ხომ თაფლის წვეთი ვარ,  
მეც მთქმევინეთ, რას ჩხუბობთ,  
რა თავი ავიწყვეტით?“

ვერ მოითმინა ხურმის ხემ  
ინდოეთიდან მოსულმა,  
აქამდის დაღუშებულმა  
და განრისხებით მოკულმა: —

„თუთავ გაჩუმდი, ქართლ-კახეთს  
შენ მართალია ხილი ხარ,  
აბა ლიხს იქით იქითხე,  
რა სახელგატეხილი ხარ!“

თუთა შემკრთალი გაჩუმდა,  
თან შორცხვად თავი დახარა,  
შეიძრა, ტკბილი ნაყოფი  
დაბლა ცრემლოვად დაჰყარა.

წამოეშველნენ თუთის ხეს  
წაბლი,

ვოლო

და ქლიავი:

„ნახი, ჩამოეხსენი,  
არ მიაკარო წიაგი!“



ხურმას შესძახეს: „აბა თქვე,  
ვინა ხარ, ან და რა ხილი!“  
მაგრამ შეჩერდნენ, მოესმათ  
მათ უცნაური ძახილი.

ზღვის პირას შეკრებილიყვნენ  
ზევები ნარინჯიანი,  
ისმოდა მათი სიმღერა,  
ხმაშეწყობილი შრიალი.

ნარინჯი პირველს ამბობდა,  
თურინჯი სკექდა მეორეს,  
მხედრულს ამბობდა ლიმონი,  
გულს უმზნევებდა მეომრებს.

ისმოდა მათი ძახილი:  
„ჩვენ გვეძახიან ციტრუსებს,  
შრომელებს სუფრას ვუმშვენებთ  
საქართველოს და დიდ რუსეთს!“

შორეულ მხარეს გაისმის  
ჩვენი ბუკი და ნაღარა,  
ოქრო ვართ დაუთვალავი,  
მზრუნველმა ხელმა გვახარა: -

სიმღერამ ყველა მოახიბლა,  
გაისმა შწყობრი გუგუნნი,  
შესმატყბილდნენ და ამღერდნენ,  
ზოგი ხმით,ზოგი დუდუნით.

ათასწლოვანმა კაკლის ხემ  
გაიშრიალა ხმიანად,  
ხილთა ქვეყანას დასძახა  
გუგუნით, ომახიანად:

„თქვენა ხართ ჩემი შვილები,  
მე თქვენი ბერი პაპა ვარ,  
მე ხომ თვით საქართველო ვარ,  
პანის სათქმელად მზადა ვარ!“

ტოტებით ზეცას ვეხებდი,  
ფესვი მიწას მაქვს გადაგმული,  
მე თქვენი პაპის პაპა ვარ,  
საქართველო ვარ განთქმული!

იზარდეთ, ტყბილად დამუიფლით,  
ქართველი კაცი ახარეთ,  
ოქროს და ლალის ნაყოფი  
ჩვენს მიწას გადააყარეთ.

### გიორგი მახარაშვილი

ნახატები ანდრო კანდელაკისა





## კურღლედი და კუ

ზ ლ ა ვ ა რ ი

დიდ მინდორზე ერთმანეთს შეხვდნენ კურღლედი და კუ.

— საით მიიქჷარი, ძმობილო? — დაკინვით ჰკითხა კურღლედმა.

აი, იქ რომ გორაკი მოსჩანს, — ანიშნა კუმ მინდვრის ბოლოზე. — ასე

მითხრეს, გემრიელი საკვები იშოვებაო. თუ გინდა ერთად წავიდეთ.

კურღლედმა ჩაიციხა და უთხრა:

— მე წავალ იქ, მაგრამ შენთან სიარული არ მარგებს. სანამ შენ იმ გორაკამდე მიხვალ, მე კიდევ გავძლები და ჩემს სოროშიც დავბრუნდები. დავნაძლევედეთ, თუ ასე არ იქნება!

სთქვა და გაიქცა.

შუა მინდორში იყო, როცა თავისი მეგობარი კურღლედი დაინახა. გაუხარდა მასთან შეხვედრა და გადასწყვიტა:

— მოდი ჯერ ამ ჩემს ძმობილთან წავითამაშებ და მერე გავსწევ გორაკისაკენ. სულერთია, იმ კუს შინც მივასწრებ!

დაიწყო მეგობართან ერთად ნავარდი. ბოლოს, თამაშით გული



რომ იჯერა, დაემშვიდობა და თავის გზას გაუდგა.

ჯერ კიდევ შორს იყო გორაკისაგან, როცა მინდორზე ერთი ბუჩქი დაინახა და გაიფიქრა:

— ბევრი ვისტუნე, ამ ბუჩქის ჩრდილქვეშ ცოტახნით დავისვენებ და გზას შემდეგ განვაგრძობ. იმ კუს მაინც მივასწრებ!

ასეც მოიქცა: შეძვრა ბუჩქში, გაწვა მიწაზე და დალილილს მალე ჩაედინა.

სანამ კურდღელს ეძინა, კუ თავის გზას განაგრძობდა. მიათრევდა თავის მძიმე სხეულს, უძნელდებოდა სიარული, მაგრამ მაინც არსად შეჩერებულა და ნაბიჯი არ შეუწყვეტია.

გამოიღვიძა თუ არა კურდღელმა, ეჭვიტად წამოხტა და გორაკისაკენ გაეშურა.

მისტუნაობს და კმაყოფილი ფიქრობს:

— მეგობართან ხალისიანად გავატარე დრო, წავიძინე კიდევ, და ახლა იმ კუზე ადრე მაინც მივალ!

მიადწია კურდღელმა გორაკს და რას ხედავს: კუ უკვე იქაა, გამაძღარა და გამობრუნებასაც აპირებს.



— ეს როგორ მოხდა, რომ ჩემზე ადრე მოხვედი? — გაიკვირვა კურდღელმა.

ახლა კუმ გადახედა დაცინვით და უპასუხა:

— შენ შენი მარდი ფეხების იმედი გქონდა, ხოლო ის კი დაგავიწყდა, რომ სიზარმაცეს და უდარდელობას ყოველთვის გაუსწრებს გარჯა და მოთმინება. მიბრძანდი, მიირთვი ბალახი. მე კი უნდა წავიდე, მეჩქარება. შენ დროით მინდა დავბრუნდე!

სარგო ქლიაშვილი

ნახატები ლადო გულღიაშვილისა

## მ ზ ე ო ნ ა

ბაწაწინა გოგონა,  
ზარნიშინ აკვანში წევს,  
სალამოთი მოსულ მამას  
გაახარებს, დაამშვიდებს.

სულ ტიკტიკებს, სულ კიკიკებს,  
არტახებში ვერ ისვენებს.

წამოფრენას დააპირებს,  
როცა იგრძნობს დედის ხელებს...

სათამაშოს არ კადრულობს  
და დაჰყურებს წიგნებს დიდხანს,  
დამიჯერეთ, მალე იგი  
ჩვენს „დილასაც“ წაიკითხავს.

ხუთა ბერუავე





# კოლხეთში

დილაა. ფანჯარასთან დგას პატარა ვანო და აღფრთოვანებით გასცქერის ნასიმიანდარში განაბულ მამალ ხოხობს. იქვე ბაბუა ზის და ყალიონს აბოლავებს.

— ბაბუ, ძალიან ლამაზია ხოხობი, დაიჭირე და მაჩუქე! — გხვეწება ვანო. ბაბუას თეთრ უღვავებში ეღიმება.

მზის შუქზე ეღვარება მამალი ხოხობის ბუმბული. ვანოს განსაკუთრებით ხოხობის ბოლო მოსწონს. მამლის გარშემო ნაცრისფერი დედალი დაგოგმანებს.

— გუშინაც ვნახე ჩვენს ეზოში ხოხობი, — ეღურტულავს ვანო.

— კოლხიდში მენმა რიონს დამბები ამოუშენა. ახლა რიონი ვეღარ ახერხებს ნაპირების გადმოლახვას, შეიღო, ამიტომაც გამრავლდა ხოხობი. წინათ ბევრი უნდა გეძებნა ტყეში, ახლა ეზოებშიაც შემოდიან.

— რიონი ხოხბებს რას უშლიდა, ბაბუ?

— აღიდებული რიონი წინათ ნაპირს გადმოლახავდა, მოსახლეობას აწიოკებდა, პირუტყვსა და ფრინველს ახრჩობდა. მაშინ ტყეები წყალით იესებოდა. ხოხობს კვერცხი წყალ-



დილობის დროს ილუკებოდა. ხოხობი ხომ მიწაზე სდებს კვერცხებს.

ბაბუამ ყალიონი გააბოლა და განავრძო:

— წყალდილობის დროს ტყეში ფრინველებთან ერთად, განსაკუთრებით შვლები ნადგურდებოდნენ. შველი მაშინ მალლობისაკენ მიიწევდა. ჩვენც ჩავხდებოდით ნავებში და მალლობისაკენ მივცურავდით. შეშინებული შვლები ერთადგილას ტრიალებდნენ. აბა, რა ექნათ საწყლებს, როცა ირგვლივ წყალი იყო! ნუკრები დედებს ეკვროდნენ. დიდებს ვხოცავდით, ნუკრებს ვიჭერდით. ეზოში ყოველთვის რამდენიმე შველი მყავდა.

— წადი ტყეში, ნუკრი მოიყვანე! — შეეხვეწა ვანო ბაბუას.

— წყალდილობის დროს ვიჭერდით. ახლა ნუკრის დაჭერა ადვილი საქმე როდია, — მიუგო ბაბუამ. — ბევრიც რომ იბრძოლოს რიონმა, დამბებს ვერ გადმოლახავს.

ანდრო ლომიძე  
ნახატი გ. რიონიშვილისა

# პატარა მებაღე



გაზაფხულის დარია,  
ბარში თოვლი გამდნარა,  
ბარით ხელში გურამი  
თავის ბაღში ჩამდგარა.

— თესე, კაფე-თესეო! —  
გუგუღების ხმა ისმის.  
გურამ-ბიჭიც თავის ბაღს  
უღის დიდი ხალისით.

შარშან დარგულ ნერგებთან  
საქმიანად ფუსფუსებს, —

სასუსს აყრის, უბარავს,  
აცლის მავნე ბუსუსებს.

ტოტებს შლიან ნერგები,  
არ დამზარან სიცივით,  
ნუში აყვავებულა,  
ატმის კვირტიც იციინის.

დაიცადეთ, იხარონ  
გურამ-ბიჭის ნერგებმა,  
გურამს შრომის შედეგად  
ბევრი ხიდი ერგება.

ზურაბ ჟუბურაძე

## რ ე ბ უ ს ი

ნახატი დ. ნაცვლიშვილისა

შეადგინა ლანჩხუთის საშუალო სკოლის მოსწავლე  
რუსუდან ცინცაძემ

4507



პანაწილისმცემელი რედაქტორი რეზა ზარბაზნიანი

სარედაქციო კოლეგია: გ. აბაშიძე, მკაბეაძე გურჯაანაძე, როსო გრიშაშვილი, ილია სიბარაშვილი, თინათინ თუბანიშვილი, მუხამალა მამუკაშვილი, ნატალია უნაშვილი, ზალვა ცხადაძე.



## გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

თოვლი დადნა, ქარი ჩადგა,  
 მზე ანათებს, გათბა მინა;  
 გაიზარდნენ ენძელები,  
 და იამაც გაილევიდა.  
 შორი მწვანედ აბიზინდა,  
 გაზაფხუდდა, როგორ თბილა!  
 ეზოში სზო დაკუნტრუშებს,  
 ბატკანი ძოვს ზადასს ფრთხილად  
 შიკჭიკებენ ფრინველები,  
 ფრთხილებენ ფრთამალები,  
 დანოღიღ ღორს ღრუტუნები  
 ძუძუს სწოვენ გამაღებია:  
 პაპამ ღობე შეაკეთა,  
 ვაზებს სხდაეს და აკრავს მათ,  
 ბებო ქუკებს ჭინჭარს აჭმევს,  
 დედა თესავს ქინძს და კამას.  
 შერმისა და აღუბღის ქვეშ  
 ყვავილების თოვლი ცოცხალი  
 გაზაფხუდდა, გაზაფხუდდა,  
 მკვდრ დათბა, ღობე გვიდა.

ილია სიხარულიძე



გარეკანის მხატვრობა ექვთიმის სოსო გაბაშვილს.

„ДИЛА“ – ежемесечный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 3 1978 г.  
 გამომცემლობა „კოპიუსტი“, რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28 1 სართ. ფოსტ. 3-81-80  
 გამომცემლობის შეჯ. № 23 სტამბის შეჯ. № 497. ტირაჟი 7000 ფლ 01615. ფასი 6 მან.  
 ლ. პ. ზერიახ სახელობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტ“ თბილისი, ლენინის ქ. № 28.  
 ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია საგემოვნო მრეწვე. სამხრისტროს ლითოგრაფიაში

2 1 1 1 2 2 1 1

საქართველო